პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 115

2018 წ. "04" 06

ქ. თბილისი

შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №16 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ქართული	15	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47

2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	30	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
3	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეოთხე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
4	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეხუთე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
5	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	50	ქართული	20	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
6	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	25	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
7	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	მესამე	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040154	45	ქართული	20	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №9 სხდომის ოქმის ოცდამეერთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ეკატერინე ნარეშელაშვილი